

**ეროვნული ინტეგრაციის და ტოლერანტობის ხელშეწყობის პროგრამის
გრანტის მიმღებთა სია**

1) ორგანიზაცია: თავისუფლების ინსტიტუტი

პროექტი: მონაწილეობითი ბიუჯეტირება: ეფექტური ინტეგრაციის ინსტრუმენტი

უმცირესობების და დაუცველი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოს საშუალო სკოლების მმართველობაში მათი მონაწილეობის გაზრდით. 2003 წელს მიღებული კანონით ძირეული რეფორმის განხორციელების შესახებ საგანმანათლებლო სფეროში, ინდივიდუალურ სკოლებს გაცილებით უფრო დიდი ავტონომია მიეცათ ბიუჯეტის შედგენის კუთხით, მაგრამ აღნიშნული კანონი დროულად არ ხორციელდება ხოლმე სოფლებში, განსაკუთრებით კი ისეთ ადგილებში, რომლებიც მჭიდროდ არის დასახლებული ეთნიკური უმცირესობებით. პროექტის მიზანს მონაწილეობითი ბიუჯეტირების მიდგომის შემოთავაზება და დამკვიდრება წარმოადგენს. ეს ის მოდელია, რომელსაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ ეფექტურად იყენებს უკვე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის 40 სკოლაში.

2) ორგანიზაცია: ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

პროექტი: დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების თემებში

საქართველოში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის და განვითარების ხელშეწყობის მიზნით ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (ZSP) გეგმავს გადაამზადოს და უზრუნველყოს სტაჟირება სახელმწიფო დაწესებულებებში საქართველოს მასშტაბით ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 70-ზე მეტი კურსდამთავრებულისთვის იმ თემებიდან, რომლებიც უმეტესწილად დასახლებულია აზერბაიჯანელი, სომეხი და სხვა ეთნიკური უმცირესობებით. აღნიშნული პროექტის მონაწილეები სტაჟირების პროგრამის მეშვეობით სახელმწიფო ადმინისტრირების და მართვის მნიშვნელოვან უნარებს შეიძენენ. პროგრამა ხელს შეუწყობს მათ პროფესიონალურ განვითარებას და, ამავდროულად, მხარს დაუჭერს მათ ინტეგრაციას საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში.

3) ორგანიზაცია: ქვემო ქართლის მრავალეთნიკური გაერთიანება

პროექტი: ტოლერანტობის და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დონეების ამაღლება;

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა, რაც ეფუძნება მჭიდრო ურთიერთობას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის ქვემო ქართლში. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ეროვნებებს შორის პოტენციური დაძაბულობის შესაძლებლობის შემსუბუქებას და დაეხმარება ეთნიკურ უმცირესობებს ქართულ საზოგადოებაში უკეთესად ინტეგრაციაში.

4) ორგანიზაცია: დემოკრატიის და სამოქალაქო განვითარების ცენტრი

პროექტი: ნაბიჯი ტოლერანტობისკენ

კულტურებს შორის ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ასევე უფრო მეტი ტოლერანტობის და თბილისში მცხოვრები უმცირესობების საჭიროებების

გაგების ხელშეწყობა. ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების შედეგად საკმაოდ გაიზარდა რელიგიური, ეთნიკური და კულტურული დაძაბულობები საქართველოში. იყო შემთხვევები, როცა პირდაპირ შეილახა ადამიანის ძირითადი უფლებები. არატოლერანტობა ძალიან ხშირად საზრდოობს სხვა კულტურების, ეროვნებების და რელიგიების მიმართ შიშით და უგულებელყოფით. ამ მიზნებისთვის, პროექტის ინტერვენცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდა, ცვლილების მომტანი სტუდენტების (30 სტუდენტი არის შერჩეული თბილისის 5 სკოლიდან) სამიზნე ჯგუფის განათლებას ტოლერანტობის, ადამიანის უფლებების, მრავალკულტურული გარემოს, ასევე რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ. პროექტის ჯგუფი გადაამზადებს საშუალო სკოლის მოსწავლეების ძირითად ჯგუფს როგორც ცვლილების აგენტებს, რომლებიც პროექტის მთავარ გზავნილს უფრო ფართო საზოგადოებას გააცნობენ, ასევე თავიანთ თემებში სოციალური ცვლილების კატალიზატორი გახდებიან გრძელვადიან პერიოდში. გაიმართება შეხვედრები სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებსა და ცნობილ ადამიანებთან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიდან და ამ გზით პროექტი ახალგაზრდების ძირითადი სამიზნე ჯგუფის კულტურათაშორის ცნობიერებას უშუალოდ ახალ კულტურაში მონაწილეობის გზით აამაღლებს. ახალ ვებგვერდზე გაიხსნება ფორუმი აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის, რომლის მეშვეობით პროექტის მონაწილეები და დაინტერესებული მხარეები ტოლერანტობის მიმართ თავიანთ პირად ვალდებულებას გამოხატავენ და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიაში წვლილს შეიტანენ. საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის ესეების კონკურსი გაიმართება ტოლერანტობის საკითხებზე, რაც მათ დაეხმარებათ განვიითარონ დამოუკიდებლად განსჯის შესაძლებლობა, კრიტიკული აზროვნება და ეთიკური მსჯელობა.